ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1814276

ნომერი: AR1289295

თარიღი : 26.02.2015

გაცემის თარიღი : 01.04.2015

გაცნობის თარიღი : 02.04.2015

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა გიორგი ბრწყინვალე , N 30 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თენგიზ წულაია პ/ნ 37001018394
- თბილისი, შარტავას 59

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2015 წლის 26 თებერვლის #AR1289295 განმეორებითი განაცხადი, რომლითაც მოითხოვეთ ამავე სამსახურის 2015 წლის 07 თებერვლის #1718893 ბრძანებაში ცვლილების შეტანა ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებთან

დაკავშირებით.

პასუხად გაცნობებთ, რომ სამსახურის 2015 წლის 04 მარტის #1763779 ბრძანებით ზემოაღნიშნულ განცხადებაზე დაგიდგინდათ ხარვეზი და დაგევალათ 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადა დეტალური განმარტებითი ბარათის წარმოდგენა შესწორებული ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლების მითითებით და განმარტების გაკეთება გეგმა–ნახაზების რა ნაწილშია შეცდომით დატანილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები. ამასთან, 2015 წლის 11 მარტის #1777119 და 2015 წლის 17 მარტის #1786341 გადაწყვეტილებებით განმეორებით დაგიდგინდათ ხარვეზი და დაგევალათ კად ფაილის წარმოდგენა სწორად დატანილი პოლიგონებით (სასურველია ბინების მიხედვით პოლიგონები განსხვავებული ფერით დაიტანოთ). ასევე, გეგმების წარმოდგენა ფართების განშლით ცხრილში გამოტანილი მაჩვენებლებით და დაჯამებული ფართობების მითითებით.

განმეორებით წარმოდგენილ განაცხადში კვლავ გამოვლინდა ხარვეზი, კერძოდ: არ არის წარმოდგენილი კად ფაილი სწორად დატანილი პოლიგონებით, ასევე, გეგმები ფართების განშლით ცხრილში გამოტანილი მაჩვენებლებით და დაჯამებული ფართობებით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის თანახმად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარადგენს შესაბამის დოკუმენტს ან ინფორმაციას, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია გამოიტანოს გადაწყვეტილება განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან, არ იქნა წარმოდგენილი სამსახურის მიერ განსაზღვრული დოკუმენტაცია, 2015 წლის 04 მარტის #1763779 ბრძანების შესაბამისად, თქვენი 2015 წლის 26 თებერვლის #AR1289295 განცხადება დარჩა განუხილველი.

დამატებით გაცნობებთ, რომ იმ შემთხვევაში თუ ხდება 2015 წლის 07 თებერვლის #1718893 ბრძანებით შეთანხმებული გეგმა–ნახაზების ცვლილება განაცხადი შეგიძლიათ დაარეგისტრიროთ სამსახურის ვებ-გვერდზე (www.tas.ge) შემდეგი თანმიმდევრობით: ელექტრონული განცხადებები – მშენებლობის ნებართვა – ორი ან მეტი ფუნქციის მქონე ობიექტები – მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობა, განსაზღვროთ შენობის პარამეტრები; ქმედებებში – შეთანხმებული პროექტის ცვლილება. ხოლო, თუ არ ხდება 2015 წლის 07 თებერვლის #1718893 ბრძანებით შეთანხმებული გეგმა–ნახაზების ცვლილება ან/და მასზე არასწორად არის მითითებული ფართობების ციფრობრივი მაჩვენებლები, განაცხადი შეგიძლიათ დაარეგისტრიროთ შემდეგი თანმიმდევრობით: ელექტრონული განცხადებები – სამართლებრივი საკითხები – ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ – სამართლებრივ აქტში, რის შედეგადაც პროგრამა ავტომატურ რეჟიმში განგისაზღვრავთ წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხას.

სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, სამსახური იმსჯელებს განცხადებაში მითითებულ საკითხთან დაკავშირებით და მიიღებს კანონმდებლობის შესაბამის გადაწყვეტილებას.